შემოქმედებითი ტურის ძირითადი ეტაპები და მოთხოვნები:

შემოქმედებითი ტური შედგება ორი ნაწილისაგან:

I ნაწილი:

ონლაინ რეგისტრაციის დასრულების შემდგომ (21 აგვისტო) სტუდენტს გაეგზავნება (რეგისტრაციის დროს მითითებულ ელფოსტაზე) თემა/დავალება, რომლის ფარგლებშიც უნდა შესრულდეს არქიტექტურული ნამუშევარი.

ნამუშევარი/გრაფიკული მასალა შესაძლოა წარმოადგენდეს ჩანახატებს, დიაგრამებს, ნახაზებს, კოლაჟს, ან მათ კომბინაციას. შესრულებული უნდა იყოს ხელით ან კომპიუტერული პროგრამით. მასალა კომპოზიცურად განაწილებული უნდა იყოს ერთ A2 (landscape) ფორმატზე. გრაფიკულ მასალასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს კონცეფციის ტექსტური ნაწილი/განმარტებითი ბარათი (200-300 სიტყვა).

დავალება ელფოსტით უნდა იყოს გამოგზავნილი 2 ფაილის სახით:

1. კონცეფციის ტექსტური ნაწილი/განმარტებითი ბარათი PDF ფორმატში;
2. გრაფიკული მასალა JPG ფორმატში. JPG ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10MB-ს.

ნამუშევრის ელ ფოსტით გამოგზავნის საბოლოო თარიღი: 26.08.2024

გთხოვთ ნამუშევარი გამოაგზავნოთ მითითებულ ელფოსტაზე:

archadmissions@iliauni.edu.ge

II ნაწილი:

აბიტურიენტს შემოქმედებითი ტურის I ნაწილის გავლის შემდეგ 10 სექტემბერს შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს ტურის II ნაწილში, სადაც:

ა) აბიტურიენტმა უნდა წარადგინოს პირველ ნაწილში გამოგზავნილი ნამუშევრის ორიგინალი/ბეჭდური ვერსია, ასევე სხვა დროს შესრულებული ნამუშევრები (მინიმუმ სამი) რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს:

- სხვადასხვა სახის გრაფიკულ ჩანახატს/ნახატს;
- მცირე ზომის მოცულობით მაკეტს/მაკეტებს;
- სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული ნებისმიერი სახის ნამუშევარს.

ბ) აბიტურიენტმა უნდა გააკეთოს კომისიის წევრების მიერ წინაწარ განსაზღვრული ობიექტების (რომელიც შესაძლოა იყოს მცირე ზომის მოცულობითი ობიექტი: პირამიდა, კუბი, სფერო და ა.შ.) ჩანახატი, რისთვისაც მიეცემა შესაბამისი დრო.

გამოცდის პროცესში ჩართული იქნება პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

საგამოცდო კომისია ორივე ტურის ფარგლებში შესრულებული ნამუშევრების შეფასების ნაწილში იხელმძღვანელებს არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები შემოქმედებითი ტურის კონცეფციაში გაწერილი წესის შესაბამისად:

ა) კრეატიულობა (შემოქმედებითობა და თავისუფალი აზროვნება);
ბ) იდეის სივრცითი გადმოცემა (სივრცითი აზროვნება, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა და ვიზუალურად გადმოცემა);
გ) ტექნიკური გამართულობა (ნამუშევრის შესრულების ტექნიკური სისრულე);
დ) კონცეფციის (განმარტებითი ბარათის) შინაარსობრივი მხარე (სიცხადე და შესაბამისობა შესრულებულ ნამუშევართან);
ე) კონცეფციის ტექნიკური გამართულობა (ენობრივი და სტილისტური გამართულობა).

2. თუ აბიტურიენტი ზემოთ წარმოდგენილ ხუთივე კრიტერიუმში მიიღებს შეფასებებს:

„მისაღები“ ან/და „ნაწილობრივ მისაღები/დამაკმაყოფილებელი“, მას შემოქმედებითი ტური ჩაბარებულად ჩაეთვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ ერთ კომპონენტში მაინც მიიღებს შეფასებას: „მიუღებელი“), აბიტურიენტი ეთიშება კონკურსს.